ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N 01-03-211

ქ. თბილისი

13 ნოემბერი 2018 წელი

შემსყიდველი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, წარმოდგენილი ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებლის მანანა რატიანის სახით;
მისამართი: ქ. თბილისი, გმირი კურსანტების ქ. №4;
საიდენტიფიკაციო კოდი: 202374251;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ა/ა: GE24 NB03 3010 0200 1650 22.

მიმწოდებელი: შპს სანატორიუმი „კოლხიდა," წარმოდგენილი მისი დირექტორის ხატია სარჯველაძის სახით;
მისამართი: ოზურგეთის რაიონი, დაბა ურეკი, თაყაიშვილის ქ N 117;
საიდენტიფიკაციო კოდი: 237077435;
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა: GE68BG0000000341484400.

ერთი მხრივ, შემსყიდველი და მეორე მხრივ, მიმწოდებელი ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების ნომერი N- SPA 180008080) შედეგების გათვალისწინებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;
1.2. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – ვალდებულების ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ, არასრულად, უხარისხოდ შესრულება;
1.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადების გადაცდენა – მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქვეპროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ფარგლებში სასტუმრო-საკონფერენციო მომსახურების შესყიდვა, რომელიც მოიცავს მონაწილეთა სასტუმროში დაბინავებას, შეხვედრების, კონფერენციების ორგანიზების მომსახურებას, კვებას და ტრანსპორტირებას (CPV 55110000 - სასტუმროში დაბინავების მომსახურება; 55120000 - სასტუმროში შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება; 55130000 - სასტუმროსთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასყიდი ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში;
3.2. შესასყიდი მომსახურების ღირებულება (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება") შეადგენს 20 532.00 (ოცდათას ხუთასოცდათორმეტი) ლარს დღგ -ს ჩათვლით;
3.3 გასაწევი მომსახურების დასახელება, ტექნიკური აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია დანართ N 1-ში;
3.4 **დაფინანსების წყარო:** სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ქვეპროგრამა.

მუხლი 4. შესასყიდი ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, რომ გაწეული მომსახურება შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

4.2 მიმწოდებელი აცხადებს, რომ გაწეული მომსახურება იქნება უნაკლო.

4.3 გასაწევი მომსახურების მახასიათებლები და ტექნიკური აღწერილობა:

1.სასტუმროში მონაწილეთა დაბინავება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

1) 100 (ასი) მონაწილიდან 8 (რვა) მონაწილე უნდა განთავსდეს 1 (ერთი) ადგილიან ნომერში, ხოლო 92 (ოთხმოცდათორმეტი) მონაწილე 2 (ორი) და 3 (სამი) ადგილიან ნომრებში;

2) სასტუმრო ნომრები აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური სველი წერტილებით, ცივი და ცხელი წყალი (24 საათი), გათბობა-კონდიცირების გამართული სისტემით (24 საათი), ნომრებში უნდა იყოს ცალ-ცალკე საწოლები (გასაშლელი საწოლები არ იგულისხმება), ოთახებში დაცული უნდა იყოს სანიტარული ნორმები და უნდა იყოს შესაბამისი რაოდენობის პირველადი ჰიგიენის პროდუქტები (საპონი, შამპუნი, დასაბანი გელი და სხვა). ნომრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სასმელი წყლით ბოთლებში: სასტუმროს 1(ერთი) ბინადარზე არანაკლებ 1 (ერთი) ლიტრი. სასტუმროს პერსონალმა უნდა უზრუნველყოს სტუმრების ტვირთის მათ კუთვნილ ოთახებამდე და ნომრიდან სატრანსპორტო საშუალებამდე მიტანა, ასევე მისი შემდგომი უსაფრთხოება.

3) სასტუმროში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინტერნეტის მუდმივი მომსახურება - Wi-Fi ქსელი, როგორც ყველა ოთახში, ასევე სამუშაო, შეხვედრების, სატრენინგო და საკონფერენციო ოთახებში.

2. სასტუმროში შეხვედრების და კონფერენციების ორგანიზების მომსახურება (სატრენინგო ფართის დაქირავება):

1) საკონფერენციო/სატრენინგო მომსახურება:

1 (ერთი) საკონფერენციო დარბაზი 1(ერთი) დღე 100 (ასი) მონაწილეზე. საკონფერენციო დარბაზში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი საკანცელარიო და ტექნიკური რესურსი:

ა) 1 (ერთი) მობილური და 1 (ერთი) დასადგამი მიკროფონი;

ბ) დაფა, დაფის მარკერი (2 სხვადასხვა ფერის 3-3 ცალი);

გ) პროექტორი და პროექტორის დაფა;

დ) ფლიპ ჩარტი - 4(ოთხი) შეკვრა;

ე) ლეპტოპი;

ვ) ხმის გამაძლიერებელი სისტემა;

ზ) ინტერნეტი;

თ) მაგიდები და სკამები 100 პერსონაზე;

ი) 1(ერთი) კათედრა 5 (ხუთი) ადამიანზე;

კ) თითოეულ მონაწილეზე არანაკლებ 0.5 ლიტრი სასმელი/მინერალური წყალი;

ლ) ბლოკნოტი (ფორმატი A4) - 100 ერთეული;

მ) საწერი კალამი - 100 ერთეული.

2) 4 (ოთხი) სატრენინგო ოთახი არანაკლებ 20 პერსონის ტევადობის - 3 (სამი) დღე. თითოეულ ტრენინგ ოთახში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ შემდეგი საკანცელარიო და ტექნიკური რესურსი:

ა) სამუშაო მაგიდები (თითო მაგიდა 4-5 მონაწილისთვის) და სკამები 20 მონაწილისათვის;

ბ) ფერადი სტიკერები (2-3 სხვადასხვა ფერის);

გ) მინიმუმ ერთი შეკვრა A4 ფორმატის საბეჭდი ქაღალდი;

დ) ფლიპ ჩარტი - 2 შეკვრა;

ე) ფლომასტერები (1 შეკვრა);

ვ) სკოჩი - 2 ცალი;

ზ) თეთრი დაფა, დაფის ბორდ მარკერი (2 სხვადასხვა ფერის 3-3 ცალი);

თ) პერმანენტ მარკერები - 4 სხვადასხვა ფერის 3-3 ცალი;

ი) პროექტორი და პროექტორის დაფა;

კ) ლეპტოპი;
ლ) დინამიკები;
მ) ინტერნეტი;
ნ) ტრენინგის მონაწილეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ერთი ლიტრი (ბოთლით) წყლით/მინერალური წყალით (თითო პერსონა).
3) 1 (ერთი) სამუშაო ოთახი - 3 (სამი) დღე პროგრამის თანამშრომლებისთვის. მისი სივრცე გათვლილი უნდა იყოს არანაკლებ 3 პერსონაზე შესაბამისი ავეჯის (მაგიდები და სკამები) თანხლებით. ოთახი უზრუნველყოფილი უნდა იყოს უწყვეტი უკაბელო ინტერნეტით Wifi და წყალი ერთი ლიტრი (ბოთლით) წყლით/მინერალური წყალით (თითო პერსონა);
4) საკონფერენციო დარბაზში/ტრენინგისა და სამუშაო ოთახებში უნდა იყოს გამართული კონდიციონერი (გათბობა/გაგრილების საშუალება). ტრენინგ ოთახები უნდა იყოს იზოლირებული და ერთმანეთისგან დამოუკიდებელი (ფარდით ან სხვა საშუალებით გამოყოფა არ მოიაზრება);
საკონფერენციო, სატრენინგო და სამუშაო ოთახები არ უნდა იყოს სარდაფში ან ნახევრად სარდაფში, ოთახებს უნდა ჰქონდეს დღის ბუნებრივი განათება (უფანჯრო ოთახები არ განიხილება) და უნდა ნიავდებოდეს; სატრენინგო ოთახები არ უნდა ემიჯნებოდეს სამზარეულო სივრცეს;
5) ტრენინგის მონაწილეები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ერთი ლიტრი (ბოთლით) წყლით/მინერალური წყალით (თითო პერსონა) და მრავალჯერადი გამოყენების ჭიქებით;
6) სასტუმროში დაბინავება, საკონფერენციო/სატრენინგო მომსახურება და კვებითი მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს ერთ სივრცეში, ერთი სასტუმროს მიერ. ორ სხვადასხვა სასტუმროში დაბინავების შემოთავაზება არ განიხილება;

3. კვებით მომსახურება (შვედური მაგიდა):

1) კვებითი მომსახურება მოიცავს სამჯერად კვებას და ყავა/ჩაის შესვენებას. შემოთავაზებული მენიუ უნდა იყოს მდიდარი რაციონის და იცვლებოდეს პერიოდულად. მენიუ უნდა მოიცავდეს ვეგეტარიანულ, ასევე სამარხვო და არასამარხვო კერძებს, ამასთან მენიუ უნდა შეიცავდეს:

საუზმე:

1) ცხელი კერძი (3 სახეობის);
2) გარნირი (2 სახეობის);
3) რძის ნაწარმი (2 სახეობის);
4) ძეხვეული (2 სახეობის);
5) ცომეული (2 სახეობის)
6) დესერტი (3 სახეობის);
7) სასმელი (ყავა, ჩაი, გამაგრილებელი სასმელი (ჩაი და ყავა უნდა იყოს შეუზღუდავი რაოდენობით);

სადილი:

1) ცხელი კერძი (3 სახეობის, მ/შ 1 - წვნიანი);
2) ცივი კერძი (5 სახეობის);
3) ცომეული (2 სახეობის);
4) დესერტი (2 სახეობის);
5) ხილი;
6) სასმელი: გამაგრილებელი სასმელი, ნატურალური წვენი, მინერალური სასმელი;

ვახშამი:

1) ცხელი კერძი (3 სახეობის);
2) გარნირი (3 სახეობის);
3) ძეხვეული (2 სახეობის);

4) რძის ნაწარმი (2 სახეობის);
5) დესერტი (3 სახეობის);
6) ცომეული (2 სახეობის);
7) სასმელი (ყავა, ჩაი, გამაგრილებელი სასმელი, ნატურალური წვენი, მინერალური სასმელი (ჩაი და ყავა უნდა იყოს შეუზღუდავი რაოდენობით).

ლანჩ-ბოქსი:
ბრინჯი; სენდვიჩი; ცომეული (არანაკლებ 2 სახეობის), სალათი არანაკლებ 1 სახეობის; ხორცი; კარტოფილი; მდნარი ყველი; საწებელი; გამაგრილებელი სასმელი; იოგურტი, პური (არანაკლებ 2 სახეობის); ხილის სალათი.

ყავა-ჩაის შესვენება:
ყავა, ჩაი, არანაკლებ 2 სახის ნამცხვარი კრემით და ნამცხვარი სამარხვო 1 სახის (ქარხნული დამზადების ე.წ. „პეჩენია" არ განიხილება).

კვებით მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:
16 ნოემბერს - სადილი, ყავის შესვენება (ერთხელ), ვახშამი;
17 ნოემბერს - საუზმე, სადილი, ვახშამი, ყავის შესვენება (დღეში ორჯერ);
18 ნოემბერს - საუზმე, სადილი, ვახშამი, ყავის შესვენება (დღეში ორჯერ);
19 ნოემბერს - საუზმე და ლანჩ-ბოქსი;
სასადილო ოთახში უნდა იყოს გამართული კონდიციონერი (გათბობა -გაგრილების საშუალება).

4. ტრენინგის მონაწილეთა ტრანსპორტირება:
მაქსიმუმ 100 მონაწილის ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, საქართველოს რეგიონებიდან სასტუმრომდე და უკან. სასტუმროში შესვლა უნდა მოხდეს 16 ნოემბერს არაუგვიანეს 13:00 საათისა და სასტუმროდან გამომგზავრება 19 ნოემბერს არაუგვიანეს 12:00 საათისა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (რეგიონების ჩამონათვალი, პერსონათა რაოდენობა და ტრანსპორტირების დაწყების/დასრულების ადგილი რაიონული ცენტრების მიხედვით მოცემულია მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში);
ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს მაქსიმუმ 18 ადგილიანი მიკროავტობუსებით ან მსუბუქი ავტომობილებით იმ რეგიონებიდან სადაც მგზავრთა რაოდენობა მინიმალურია;
სატრანსპორტო საშუალება უნდა იყოს საექსპლუატაციოდ გამართულ მდგომარეობაში; ტრანსპორტირების დროს დაცული უნდა იყოს ყველა უსაფრთხოების ნორმა; სატრანსპორტო საშუალება აღჭურვილი უნდა იყოს გათბობა-კონდიცირების გამართული სისტემით.

შენიშვნა: სასტუმროში დაბინავების, სასტუმრო, საკონფერენციო და კვებითი მომსახურების დროს განსაზღვრული პერსონათა რაოდენობები სავარაუდოა და შესაძლებელია მოხდეს მისი შემცირება, რაც წინასწარ ეცნობება მიმწოდებელს.

მუხლი 5. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება: 2018 წლის 16-19 ნოემბერი (3 ღამე);
5.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ოზურგეთის რაიონი, დაბა ურეკი, თაყაიშვილის ქ N 117.

მუხლი 6. შესასყიდი ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესასყიდი ობიექტის მიღება ფორმდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რაც ასევე ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

6.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია;
6.3 მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერილს უფლებამოსილება ენიჭება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ქვეპროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" მენეჯერს თეა ვახტანგაძეს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დასკვნა.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების (შესრულების) აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა;
7.2 ანაზღაურება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში;
7.3 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 შემსყიდველი ვალდებულია:
8.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება;
8.1.2 აუნაზღაუროს მიმწოდებელს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 შეამოწმოს გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
8.2.2 მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.2.3 მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;
8.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
8.3.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
8.3.2 კვალიფიციურად გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში აღნიშნული მომსახურება;
8.3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს შემსყიდველს ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
8.3.4 აუნაზღაუროს შემსყიდველს ის ზიანი, რაც გამოწვეულია მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით;
8.3.5 საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს გამოვლენილი ნაკლი;
8.3.6 წარუდგინოს შემსყიდველს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია.
8.4 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:
8.4.1 წარუდგინოს შემსყიდველს ფიზიკურად გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული სრული დოკუმენტაცია, რომელსაც ხელი მოეწერება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის მიერ ხარისხობრივი შემოწმების შემდეგ და მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
8.4.2 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

8.4.3 მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული, ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 % -ის ოდენობით;

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელსეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) % -ის ოდენობით;

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური მოცულობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 (ხუთი)%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელოს მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება;

10.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ ინსპექტირების ჩატარებისათვის ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

10.4 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" მიმართულების კოორდინატორს ნელი ყარაშვილს, რომელიც წერს დასკვნას ხელშეკრულების პირობებთან შესყიდვის საგნის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ;

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება და მისი მიღების საფუძველი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე არაუმცირეს ერთი თვით ადრე;

11.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

11.4.1 თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.4.2 მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

11.4.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.5 ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

12.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოახდინონ ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ცვლილება შეიტანონ მოქმედ ხელშეკრულებაში;

12.2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის ინიციატორმა მხარემ წერილობითი სახით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია;

12.3 დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილების შეტანა, რომლითაც უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ან იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

12.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩათვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 13. ფორსმაჟორი

13.1 მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოების დადგომის გამო და თუ ეს დაიწყო ან განვითარდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

15.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას მხარეთა ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

15.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

16.3 მესამე პირთან (პირებთან) ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილობას;

16.5 წინამდებარე ხელშეკრულება არ შეიცავს არანაირ სიტყვიერ დამატებას;

16.6 დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს და მოქმედებენ მხოლოდ მასთან ერთად;

16.7 მხარეებს შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

16.8 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

16.9 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს;

16.10 გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს;

16.11 ყოველივე ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილმა ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა ხელი მოაწერეს წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 17. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული	შპს სანატორიუმი „კოლხიდა"
განვითარების ეროვნული ცენტრი	
---	---
მანანა რატიანი	**ხატია სარჯველაძე**
დირექტორის ფუნქციების დროებით	დირექტორი
შემსრულებელი	

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა 2018 წლის 16-19 ნოემბერი
ა) სასტუმრო საკონფერენციო/სატრენინგო მომსახურება სასტუმროში დაბინავების მომსახურება
(მაქსიმუმ 100 პერსონა)

1. სასტუმრო/საკონფერენციო/სატრენინგო მომსახურება სასტუმროში დაბინავების მომსახურება					
№	გასაწევი მომსახურების დასახელება	რაოდენობა	დღეების/ღამეების რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სასტუმროს ნომრით მომსახურება, 2018 წლის 16-19 ნოემბერს				
1.1	ერთადგილიანი ნომერი	8	3	32	768
1.2	ორი და სამადგილიანი ნომერი	92	3	26	7176
				ჯამი:	**7944**
*შენიშვნა: *ერთეულის ფასში მოიაზრება ნომერში ერთი კაცის დაბინავების ღირებულება*					
2	საკონფერენციო, სატრენინგო და სამუშაო ოთახის დაქირავება				
2.1	საკონფერენციო დარბაზი (100 პერსონაზე)	1	1	200	200
2.2	სატრენინგო ოთახი (22 პერსონაზე)	4	3	100	1200
2.3	სამუშაო ოთახი (3 პერსონაზე)	1	3	50	150
				ჯამი:	**1550**
3	კვებითი მომსახურება				
3.1	საუზმე (17,18,19 ნოემბერს)	100	3	4	1200
3.2	სადილი (16,17,18 ნოემბერს)	100	3	5	1500
3.3	ვახშამი (16,17,18 ნოემბერს)	100	3	5	1500
3.4	ყავის შესვენება (16,17,18 ნოემბერს)	100	5	5	2500
3.5	ლანჩ-ბოქსი (19 ნოემბერს)	100	1	5	500
				ჯამი:	**7200**
*შენიშვნა: * ყავის შესვენება 17,18 ნოემბერს ნაანგარიშებია დღეში ორჯერ და 16 ნოემბერს ერთჯერ*					
				ჯამი:	**16694**

შენიშვნა: კვებითი მომსახურება უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

- 2018 წლის 16 ნოემბერი - ორჯერადი კვება (სადილი, ვახშამი, 1 ყავის შესვენება)
- 2018 წლის 17 ნოემბერი - სამჯერადი კვება (საუზმე, სადილი, ვახშამი, 2 ყავის შესვენება)
- 2018 წლის 18 ნოემბერი - სამჯერადი კვება (საუზმე, სადილი, ვახშამი, 2 ყავის შესვენება)
- 2018 წლის 19 ნოემბერი -ორჯერადი კვება (საუზმე, ლანჩ-ბოქსი)
- 2018 წლის 16-17-18 ნოემბერი- ყავის შესვენება (სულ 5-ჯერ).

ბ) ავტოსატრანსპორტო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა მაქსიმუმ 100 პერსონაზე (რეგიონებიდან თბილისში მდებარე სასტუმრომდე და უკუმიმართულებით

№	რეგიონი	გამოყენებული ტრანსპორტის სახეობა ადგილების რაოდენობის მითითებით	მიკროავტობუსების/მსუბუქი მანქანის რაოდენობა	ერთეულის ფასი (ერთი მიკროავტობუსის /მსუბუქი ავტომობილის მომსახურების ღირებულება რეგიონიდან სასტუმრომდე და უკან)	საერთო ფასი
1	*აჭარა (ხულო - 5, ქედა - 4) სულ 9 პერსონა*				300
2	გურია (ჩიბათი - 3, ლანჩხუთი - 1, ოზურგეთი, 4) სულ 8 პერსონა				178
3	თბილისი (4 ტრენერი, 3 პროგრამის თანამშრომელი და მონაწილე - 33) სულ 40 პერსონა				1200
4	იმერეთი (ქუთაისი -5, თერჯოლა - 3) სულ 8 პერსონა				240
5	კახეთი (მატანი - 4, გურჯაანი - 4) სულ 8 პერსონა				280
6	სამეგრელო - ზემო სვანეთი (ხობი - 4, წალენჯიხა -4) სულ 8 პერსონა				240
7	შიდა ქართლი (კასპი - 5) სულ 5 პერსონა				150
8	სამცხე-ჯავახეთი (ურაველი - 3, ჭაჭარაქი -2) სულ 5 პერსონა				150
9	რაჭა-ლეჩხუმი (ლენტეხი - 3) სულ 3 პერსონა				700

10	მცხეთა-მთიანეთი (ზარიძეები - 6) სულ 6 პერსონა				400
				სულ:	3838
				საერთო ფასი	20532

მხარეთა ხელმოწერები:

„შემსყიდველი"

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული

განვითარების ეროვნული ცენტრი

მანანა რატიანი

დირექტორის ფუნქციების დროებით

შემსრულებელი

„მიმწოდებელი"

შპს სანატორიუმი „კოლხიდა"

ხატია სარჯველაძე

დირექტორი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, გავეცანით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლს (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) და ხელისმოწერით ვადასტურებთ, რომ მიმწოდებლის მიმართ (შპს სანატორიუმი „კოლხიდა") არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი

/მანანა რატიანი/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ქვეპროგრამის

მენეჯერი /თეა ვაბიტანგაძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

„ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად" ქვეპროგრამის მიმართულების

კოორდინატორი /ნელი ყარაშვილი/

ვიზირება:

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

დირექტორის მოადგილე /დავით ხვედელიძე/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის ფუნქციების

დროებით შემსრულებელი /ირმა თირქია/

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების

ჯგუფის უფროსი /ნიკო გიგოლაშვილი/

შემსრულებელი

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის

ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურის შესყიდვების

სპეციალისტი /ირინე სადრაძე/